



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა საქართველოს სახელით

№1გ-93-15

28 იანვარი 2015 წ.
ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე

მანუჩარ კაპანაძემ

ქეთევან მინდიაშვილის მდივნობით,
პროკურორ - გიორგი გაგნიძის,
ადვოკატ - ხ. კ.-ს,

ბრალდებულ კ. რ.-ს მონაწილეობით, ღია სასამართლო სხდომაზე განვიხილე ბრალდებულ კ. რ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფადრების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნინო ელიეშვილის 2015 წლის 24 იანვრის განჩინებაზე, საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორ გიორგი გაგნიძის მიერ შეტანილი საჩივარი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მე-4 სამმართველოს წარმომადგენელის სისხლის სამართლის №XXXXXXXXXXXX საქმე, კ. რ.-ს მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

საქმის მასალების მიხედვით, კ. რ.-ს მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2011 წლის 08 ივნისს კ. რ. დაინიშნა გ.-ს რაიონის თ.-ს უბნის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე, ხოლო 2013 წლის 01 ოქტომბერს დაინიშნა გ.-ს რაიონის თ.-ს უბნის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. სხვადასხვა ფუნქციებთან ერთად მის ფუნქციებში შედიოდა გ.-ს რაიონის გამგებლისათვის წინადადებების წარდგენა შესაბამის უბანში გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ, საკუთარი კონპეტენციის ფარგლებში ორგანიზაციას უწევდა და აკონტროლებდა გამგებლისა და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, უზრუნველყოფდა სამსახურის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას. ამდენად, კ. რ. წარმოადგენდა საჯარო მოხელეს და ევალეობდა საკუთარი უფლებამოსილების ჯეროვნად განხორციელება და საქართველოს კანონმდებლობის განუხრელად დაცვა.

მიუხედავად აღნიშნულისა, საქმიანობის წარმოების პროცესში კ. რ.-მ განიზრახა საკუთარი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით ფულადი თანხის მიღება, რის გამოც დაუკავშირდა შპს „მ. XX“-ის (ს/ნ XXXXXXXXX), შპს „ა. XXX“-ის (პ/ნ XXXXXXXX), შპს „თ. XX“-ის (ს/ნ XXXXXXXXX),



დირექტორს ე. ა.-ს და შესთავაზა, რომ იგი საკუთარი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით დაარწმუნებდა თ.-ს ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის მაცხოვრებელთა ამხანაგობის თავმჯდომარეებს, რომ სადარბაზოების სარემონტო სამუშაოების წარმოება მოეხდინათ მისი ფირმების სახელით, სანაცვლოდ კ. რ.-მ ე. ა.-ს ქრთამის სახით მოსთხოვა თითოეულ ობიექტზე გამგეობიდან ჩარიცხული თანხის 10%-ის მისთვის გადაცემა, თანხის გადაუცემლობის შემთხვევაში კი, კ. რ.-ს განმარტებით, ე. ა.-ს კომპანიებს საქმიანობის და სამუშაოების მიღება-ჩაბარების პროცესში შეექმნებოდა პრობლემები.

აღნიშნულ შეთავაზებას ე. ა. დათანხმდა. საქმიანობის პროცესში კ. რ. ე. ა.-ს აძლევდა თ.-ზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მისამართებს და ამხანაგობების თავმჯდომარეების საკონტაქტო მონაცემებს, რათა ე. ა.-ს შეედგინა შესასრულებელი სამუშაოს დეფექტური აქტი და ხარჯთაღრიცხვა, რომელიც შემდგომ ამ უკანასკნელს მიჰქონდა ისევ კ. რ.-სთან, რომელიც უზრუნველყოფდა ამხანაგობების თავმჯდომარეების მხრიდან დოკუმენტების ხელმოწერას და სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით გამგეობაში შესატანი განცხადების შეტანას, რასაც თან ურთავდნენ დეფექტურ აქტს და ხარჯთაღრიცხვას.

ხსენებული სქემით საქმიანობის პროცესში ამხანაგობა „ე“-ს თავმჯდომარე ი. გ.-ს (პ/ნXXXXXXXXXX) და შპს „ა. XX“-ის დირექტორს ე. ა.-ს შორის 2013 წლის 08 მაისს გაფორმდა სადარბაზოს სარემონტო სამუშაოების შესახებ ხელშეკრულება რომლის ღირებულებად განისაზღვრა 36 796,16 ლარი; ამხანაგობა „ი. XX“-ის თავმჯდომარე ე. მ.-ს (პ/ნXXXXXXXXXX) და შპს „ა. XX“-ის-ის დირექტორს ე. ა.-ს შორის 2013 წლის 03 ივლისს გაფორმდა სადარბაზოს სარემონტო სამუშაოების შესახებ ხელშეკრულება, რომლის ღირებულებად განისაზღვრა 11 192,74 ლარით; ამხანაგობა ი. XX-ის თავმჯდომარეს ნ. ხ.-ს (პ/ნXXXXXXXXXX) და შპს „თ. XX“-ის დირექტორს ე. ა.-ს შორის 2013 წლის 15 ივლისს გაფორმდა სადარბაზოს სარემონტო სამუშაოების შესახებ ხელშეკრულება, რომლის ღირებულებად განისაზღვრა 30 766,94 ლარი; ამხანაგობა „ც.-ს“ თავმჯდომარე პ. კ.-ს (პ/ნXXXXXXXXXX) და შპს „მ. XX“-ს შორის გაფორმდა 2013 წლის 17 ივლისის სადარბაზოს სარემონტო სამუშაოების შესახებ ხელშეკრულება, რომლის ღირებულებად განისაზღვრა 9517,07 ლარი; ამხანაგობა „ზ. პ.“-ს თავმჯდომარეს რ. მ.-ს (პ/ნXXXXXXXXXX) და შპს „ა. XX“-ის დირექტორს ე. ა.-ს შორის გაფორმდა 2013 წლის 15 ივლისის სადარბაზოს სარემონტო სამუშაოების შესახებ ხელშეკრულება, რომლის ღირებულებად განისაზღვრა 11 185,61 ლარით; ამხანაგობა „თე. XX“-ის თავმჯდომარე კ. რ.-ს (პ/ნXXXXXXXXXX) და შპს „ა. XX“-ის დირექტორს ე. ა.-ს შორის გაფორმდა 2013 წლის 08 მაისის სადარბაზოს სარემონტო სამუშაოების შესახებ ხელშეკრულება, რომლის ღირებულებად განისაზღვრა 24341,45 ლარით; ამხანაგობა „ა.-ს“ თავმჯდომარეს გ. ქ.-სა (პ/ნXXXXXXXXXX) და შპს „მ. XX“-ის დირექტორს ე. ა.-ს შორის გაფორმდა 2013 წლის 15 ივლისის სადარბაზოს სარემონტო სამუშაოების შესახებ ხელშეკრულება, რომლის ღირებულებად განისაზღვრა 20885,99 ლარით; ამხანაგობა „ა.-ს“-ის თავმჯდომარეს ნ. მ.-სა (პ/ნXXXXXXXXXX) და შპს „მ. XX“-ის დირექტორს ე. ა.-ს შორის გაფორმდა 2013 წლის 16 ივლისის სადარბაზოს სარემონტო სამუშაოების შესახებ ხელშეკრულება რომლის ღირებულებად განისაზღვრა 9509,94 ლარით; ამხანაგობა „ლ.“-ის თავმჯდომარეს ზ. გ.-სა (პ/ნXXXXXXXXXX) და შპს „ა. XX“-ის-ის დირექტორს ე. ა.-ს შორის გაფორმდა 2013 წლის 15 ივლისის სადარბაზოს სარემონტო სამუშაოების შესახებ ხელშეკრულება რომლის ღირებულებად განისაზღვრა 9530,14 ლარი; ამხანაგობა „ზ. უ.“-ის თავმჯდომარეს ზ. კ.-სა (პ/ნXXXXXXXXXX) და შპს „თე. XX“-ის დირექტორს ე. ა.-ს შორის გაფორმდა 2013 წლის 16 ივლისის სადარბაზოს სარემონტო სამუშაოების შესახებ ხელშეკრულება, რომლის ღირებულებად განისაზღვრა 24 613,58 ლარით;

ხსენებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების შედეგად გამგეობის მიერ ე. ა.-ს კომპანიებს ჩაერიცხათ სახელშეკრულებო ფასის 80%-150671,69 ლარი, ხოლო 20%-ის გადახდა უნდა მომხდარიყო ამხანაგობების მიერ. გამგეობის მიერ ჩარიცხული თანხებიდან კ. რ.-მ, 2013 წლის 03 სექტემბრიდან, 2013 წლის 23 დეკემბრის პერიოდში, ე. ა.-სგან რვა ეტაპად ქრთამის სახით აიღო მოთხოვნილი თანხა - 15 040 ლარი. კ. რ.-მ გამოიყენა რა საკუთარი თანამდებობრივი ავტორიტეტი, სამუშაოების მიღება-ჩაბარება განახორციელა ისე, რომ ე. ა.-ს



კომპანიებს არ შეეძინათ რაიმე სახის დაბრკოლება, რის შედეგადაც ე. ა.-მ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების სარემონტო სამუშაოებისას, შესრულებული სამუშაოს აქტებში (ფორმა N2) შეიტანა ყალბი მონაცემები, ხელოვნურად გაზარდა შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებები და ზემოაღნიშნული ხერხით, ე. ა.-ს მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა ქ. თ.-ს ნ.-ს რაიონის გამგეობის და ამხანაგობების კუთვნილ ფულად თანხებს, ჯამში 135 973 ლარს;

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ვ. რ.-ს 2015 წლის 23 იანვარს წარედგინა ბრალდება სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (იხ: დადგენილება პირის ბრალდების შესახებ).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნინო ელიეშვილის 2015 წლის 24 იანვრის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულ ვ. რ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეერჩა გირაო 7000 (შვიდიათასი) ლარის ოდენობით, პატიმრობის უზრუნველყოფით და გირაოს თანხის შეტანის ვადად განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) დღე.

აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორმა გიორგი გაგნიძემ.

პროკურორი საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნინო ელიეშვილის 2015 წლის 24 იანვრის განჩინების გაუქმებას და ბრალდებულ ვ. რ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოებები, რომ ბრალდებულ ვ. რ.-ს ბრალი ედება განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში და წარდგენილი ბრალდების სიმძიმიდან გამომდინარე, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოსალოდნელი მკაცრი სასჯელისათვის თავის არიდების მიზნით, ვ. რ.-ს შესაძლოა მიემალოს გამოძიებას ან/და არ გამოცხადდეს სასამართლოში. საქმეზე გრძელდება გამოძიება და დასადგენია, ხომ არ იკვეთება ვ. რ.-ს ქმედებაში საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებიც, რის გამოც დამატებით დასაკითხია მოწმეები. იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული უშუალოდ არის დაკავშირებული მის მიერ დანაშაულის ჩადენაში მამხილებელ მოწმეებთან, არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში მან შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს მოწმეებზე, ან გაანადგუროს მტკიცებულებები, რითაც ხელს შეუშლის გამოძიებას ჭეშმარიტების დადგენაში. გარდა ამისა, დასადგენია ბრალდებულთან კორუფციულ გარიგებაში ხომ არ იყვნენ შესულები სხვა კომპანიების წარმომადგენლებიც, რომლებმაც სარემონტო სამუშაოები აწარმოეს სადარბაზოებში. იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული დღეის მდგომარეობითაც მუშაობს ნ.-ს რაიონის გამგეობაში შტატგარეშე მოსამსახურედ და ხელი მიუწვდება გამგეობაში არსებულ დოკუმენტაციასთან, შესაძლოა გაანადგუროს მისი დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი მტკიცებულებები.

პროკურორის განმარტებით, ასევე დასადგენია ხსენებული დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელების პროცესში ვ. რ. მოქმედებდა დამოუკიდებლად თუ ჰყავდა თანამონაწილე საჯარო მოხელეები, რომელთაც უშუალოდ განახორციელეს ხელშეკრულებების გაფორმება ამხანაგობასა და გამგეობას შორის და ვინ ახორციელებდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას. შესაბამისად, ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში შესაძლოა აღნიშნულ პირებთან განხორციელდეს გამოძიებისათვის ზიანის მომტანი კავშირები.

ყოველივე აღნიშნულისა და საჩივარში მითითებული სხვა გარემოებების გათვალისწინებით, პროკურორი გიორგი გაგნიძე ითხოვს ბრალდებულ ვ. რ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გაუქმებას და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას (იხ. საჩივარი).



სასამართლო სხდომაზე პროკურორმა მხარი დაუჭირა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

ადვოკატმა **ხ. კ.-მ** და ბრალდებულმა **კ. რ.-ს** მხარი არ დაუჭირეს პროკურორის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას და იმუამდგომლეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვების თაობაზე.

მოისმინა და განიხილა საჩივრის საფუძვლიანობა, მხარეთა მოსაზრებები, სისხლის სამართლის საქმისა და სასამართლო წარმოების მასალები, სასამართლოს მიაჩნია, რომ პროკურორის სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ სრულყოფილად შეამოწმა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური (საპროცესო) და ფაქტობრივი საფუძვლები.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ **კ. რ.-ს** დაკავების, მისთვის ბრალდების წარდგენის, აგრეთვე მტკიცებულებათა მოპოვებისა და სხვა საპროცესო მოქმედებათა განხორციელების დროს არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევებს, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, ადგილი არ ქონია, კერძოდ: **კ. რ.** დაკავებული იქნა მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დაკავების შემდეგ შედგენილი იქნა დაკავების ოქმი, რომლის ასლიც ჩაბარდა დაკავებულს, მას დაკავების ოქმითვე განემარტა საპროცესო უფლებები; დაკავება განხორციელა უფლებამოსილმა პირმა კანონით დადგენილი საფუძვლით; დაკავებული კანონით დადგენილ ვადაში ცნობილი იქნა ბრალდებულებად და კონსტიტუციითა და საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარდგენილი იქნა უფლებამოსილ სასამართლოში.

საქმეში არსებული მტკიცებულებები ერთობლიობაში იძლევა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ შესაძლებელია **კ. რ.-ს** ჩადენილი ჰქონდეს ბრალად წარდგენილი დანაშაულებრივი ქმედება - ქრთამის აღება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, დასაბუთებული ვარაუდი არის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე საკვებით შეესაბამება საპროცესო მოთხოვნებს და პირდაპირ გამომდინარეობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლებიდან.

სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საპროცესო და ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდგომ მოსამართლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს, თუ რომელი სახის აღკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სტადიებზე. აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა - რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, არ მოხდეს მტკიცებულებებზე ზემოქმედება და უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება, შესაძლებელია სხვადასხვა სახის აღკვეთის ღონისძიებებით, რომელთაგან მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ყველაზე უფრო რელევანტური ღონისძიება.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გირაოს გამოყენებით უზრუნველყოფილი ვერ იქნება სსსკ-ის 198-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების შესრულება, რის გამოც გამოყენებული უნდა იქნეს უფრო მძიმე სახის აღკვეთის ღონისძიება. **პატიმრობის გამოყენებისათვის კანონმდებლობა აუცილებელ სტანდარტად მიიჩნევს სათანადო მტკიცებულებებით გამყარებულ ჭეშმარიტი საჯარო ინტერესის სპეციალური ნიშნების არსებობას, რომლებიც უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, გადაწონის პიროვნების თავისუფლების მოთხოვნას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებაში „ალექსანდრე მაკაროვი რუსეთის წინააღმდეგ“, მითითებულია, რომ სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით. განგრძობადი პატიმრობა შეიძლება**



გამართლდეს მხოლოდ მაშინ, როცა ჭეშმარიტი საჯარო ინტერესის არსებობაზე კონკრეტული გარემოებები მიუთითებს და აღნიშნული საჯარო ინტერესი, მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმფციისა, გადამალავს ინდივიდუალური თავისუფლების დაცულობის ნორმას“. მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულ კ. რ.-ს მიმართ აშკარად სახეზეა იმ სპეციალური ნიშნების ერთობლიობა, რაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების წინაპირობაა, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოპოვებული მტკიცებულებები ქმნის საკმარის საფუძველს ბრალდებულის მიმართ შერჩეული იქნეს ისეთი იძულების საპროცესო ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების შესრულებას, მათ შორის ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებათა კანონის შესაბამისად განხორციელებისათვის ხელშეშლის საფრთხის თავიდან აცილებას. იმის გათვალისწინებით, რომ კ. რ.-ს ბრალი ედება სამოხელეო დანაშაულის ჩადენაში; მიყენებული ზიანი ანაზღაურებული არ არის; საქმეზე გრძელდება აქტიური საგამოძიებო მოქმედებები, მოსაპოვებელია დამატებითი მტკიცებულებები, მათ შორის დასადგენია, - ხომ არ იმყოფებოდნენ ბრალდებულთან შესაძლო დანაშაულებრივ კავშირში სხვა პირებიც; დასაკითხია მოწმეები. ბრალდებულ კ. რ.-ს თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში კი არ არის გამორიცხული, რომ მან გამოძიებისათვის ზიანის მომტანი კავშირები იქონიოს შესაძლო დამნაშავე პირებთან; ასევე, შესაძლოა იგი შეეცადოს მოწმეებზე და სხვა მოსაპოვებელ მტკიცებულებებზე ზემოქმედებას, მითუმეტეს, რომ წარმოდგენილი ცნობის თანახმად, იგი დღეის მდგომარეობითაც დასაქმებულია ნ. ს. რაიონის გამგეობაში შტატგარეშე მოსამსახურედ და შესაძლებელია ხელი მიუწვდებოდეს გამოძიებისათვის საჭირო დოკუმენტაციაზე. გარდა ამისა, ბრალდებულის ყოფილი სამსახურებრივი მდგომარეობა და ავტორიტეტი აძლევს მას რეალურ შესაძლებლობას, გავლენა მოახდინოს მოწმის სახით დასაკითხ პირებზე, ვინაიდან ბრალდებულის ყოფილი თანამდებობრივი სტატუსი საკმაოდ რელევანტური ფაქტორია ვარაუდისათვის, რომ მან კვლავ მოახდინოს ზემოქმედება დასაკითხ მოწმეებზე, ბოროტად გამოიყენოს კავშირები და ხელი შეუშალოს გამოძიებას დამნაშავე პირთა დადგენა-დაკავებაში.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბრალდების მხარის განმარტებით, მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო მოქმედებები მტკიცებულებების მოსაპოვებლად და არ არის გამორიცხული, რომ კ. რ.-ს ქმედებაში გამოიკვეთოს სხვა დანაშაულის (სსსკ-ის 180-ე მუხლის) ნიშნებიც. ამ კუთხით დასაკითხი არიან მოწმეები (ამხანაგობის თავმჯდომარეები), რომლებთანაც ბრალდებულს გააჩნია ახლო ნაცნობობა და ურთიერთობა და შესაძლოა მათზე განახორციელოს ზეწოლა სასურველი ჩვენებების მიღების მიზნით.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია ასევე იზიარებს ბრალდების მხარის არგუმენტებს ბრალდებულის შესაძლო მიმალვასთან დაკავშირებით, კერძოდ, მოსალოდნელი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან თავის არიდების მიზნით, იგი შესაძლოა მიიმალოს, ან სხვაგვარად შეუშალოს ხელი ობიექტური გამოძიების წარმოებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება არ არის დასრულებული და გრძელდება სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარება; ბრალდებით გათვალისწინებული ქმედებების ხასიათის (ბრალი ედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში), საზოგადოებრივი საშიშროების და დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, ასევე საქმის ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობით, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ბრალდებულის მიმალვის, პროცესის მონაწილეებზე კანონსაწინააღმდეგო ზეგავლენის მოხდენისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლის თაობაზე. ზემოაღნიშნულ გარემოებათა ერთობლიობით, სასამართლოს მიაჩნია, რომ კ. რ.-ს მიმართ გამოძიების ამ ეტაპზე აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული უნდა იქნეს პატიმრობა, ვინაიდან იგი არის აღკვეთის ღონისძიების ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და ეფექტური სახე, რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულის მიმართ საქართველოს სსსკ-ის 198-ე მუხლით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას.



სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 198-ე, 205-207-ე მუხლებით,

და ა დ გ ი ნ ა :

1. პროკურორ გიორგი გაგნიძის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნინო ელიეშვილის 2015 წლის 24 იანვრის განჩინება ბრალდებულ კ. რ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 7 000 ლარის ოდენობით გირაოს შერჩევის ნაწილში;
4. ბრალდებულ კ. რ.-ს (დაბადებული XXXX წლის XX სექტემბერს) აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს პატიმრობა;
5. ბრალდებულ კ. რ.-ს პატიმრობის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან - 2015 წლის 28 იანვრიდან (მასვე პატიმრობის ვადაში ჩათვალოს თავდაპირველად დაკავებაში ყოფნის პერიოდი - 2015 წლის 23 იანვრიდან, გირაოს თანხის შეტანის შემდეგ გათავისუფლებამდე);
6. ბრალდებული კ. რ. მოთავსებული იქნეს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ს/ა დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებაში;
7. დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნინო ელიეშვილის 2015 წლის 24 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
8. განჩინება (ასლები) შესასრულებლად და ცნობისათვის გაეგზავნოთ და გადაეცეთ სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;
9. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე:

მანუჩარ კაპანაძე